

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



## საჯარო-კერძო პარტნიორობა

(საქართველოში არსებული ტენდენციები)



თბილისი  
2015

კვლევა განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში” - ფარგლებში, “ღია საზოგადოების ფონდების” (OSF) ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.



**ავტორები: სოფიო ჭარაძე  
სულხან სალაქია**

**რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი**

**ტექ. რედაქტორი: ირაკლი სპანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარამაძე  
სულხან სალაქია**

---

აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
ვებ-გვერდი: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)  
ელ-ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge)

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი .....	3
2. მეთოდოლოგია .....	4
3. მიზნები .....	5
4. საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები .....	5
4.1. საქართველოს მთავრობის კანცელარია .....	6
4.2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო .....	9
4.3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო .....	10
4.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო .....	10
4.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო .....	13
5. დასკვნა .....	15

## 1. შესავალი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საჯარო-კერძო პარტნიორობის (შემდგომში - PPP) ჩამოყალიბებისა და განვითარების კუთხით საქართველოში გარკვეული ღონისძიებები იგეგმებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2013 წლის 7-8 დეკემბერს დაბა ქობულეთში გაიმართა საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმის განხილვისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ინიციატივით ჩატარდა.<sup>1</sup> ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრები. კონფერენციაზე განიხილეს საჯარო-კერძო სექტორის ურთიერთობის ფორმები, ამ პარტნიორობის მაგალითები, პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ფინანსური მექანიზმები, ასევე, პარტნიორობის განვითარების იურიდიული და ინსტიტუციური ჩარჩო. კონფერენციის ფარგლებში დაიგეგმა სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებაც.<sup>2</sup>

აღნიშნულის პარალელურად, კონფერენციის გამართვამდე რამდენიმე თვით ადრე, კერძოდ, 2013 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებულ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიში ასევე ეხმიანება საჯარო-კერძო პარტნიორობის არსებობას საქართველოში. რიგით მე-3 მონიტორინგის ანგარიშში საუბარია, რომ *„სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების უმეტესობა ფუნქციონირებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ხოლო ნაწილი კი – „საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველო კანონის საფუძველზე. საჯარო-კერძო პარტნიორობის შემთხვევაში, მმართველობითი ორგანო დაკომპლექტებულია მინისტრებით, ხოლო მას თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი.“<sup>3</sup> იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ*

<sup>1</sup> <http://www.economy.ge/ge/media/news/sajaro-kerzo-partniorobis-formis-ganxilvisadmi-mizrvnili-konferencia;>

<sup>2</sup> <http://www.economy.ge/ge/media/news/sajaro-kerzo-partniorobis-formis-ganxilvisadmi-mizrvnili-konferencia;>

<sup>3</sup> Organization for Economic Cooperation and Development, Anti Corruption Network for Eastern Europe and Central Asia, Istanbul Anti-Corruption Action Plan – Third Round of Monitoring (Georgia), 2013, p.102;

კონფერენციაზე საუბარი იყო საჯარო-კერძო პარტნიორობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებასა და პრაქტიკაში მის იმპლემენტაციაზე, შეუძლებელია, კონფერენციამდე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში „საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონზე მიუთითებდეს. შესაბამისად, მსგავსი ხასიათის საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობის ფონზე გაურკვეველია, თუ რას ეფუძნებოდა საჯარო მოხელეთა განცხადებები, რომლებიც აღნიშნული მონიტორინგის ანგარიშის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა.<sup>4</sup> არსებული, ერთობ ბუნდოვანი მდგომარეობის გათვალისწინებით, კვლევაზე მუშაობისას „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (შემდგომში – საია) უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა:

- სამინისტროებისა და მთავრობის ადმინისტრაციის მაგალითზე, PPP-ის მიმართულებით საქართველოში არსებული პრაქტიკის გარკვევა;
- კონკრეტული შემთხვევების ანალიზი, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანოები განიხილავენ, როგორც PPP-ის ფარგლებში განხორციელებულ თანამშრომლობას.

## 2. მეთოდოლოგია

კვლევაზე მუშაობის დროს საიამ შესაბამისი საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოში არსებული სამინისტროებიდან (გარდა სახელმწიფო მინისტრების აპარატებისა) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან. გამოთხოვნილი ინფორმაცია შეეხებოდა საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ჩამონათვალს, მათ მოკლე აღწერასა და საჯარო-კერძო პარტნიორობის შექმნის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებს. ინფორმაციის მიღების შემდეგ, მიღებული დოკუმენტაცია დამუშავდა და მოხდა მათი შეფასება, ხოლო იმ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მონოდებული ინფორმაცია, რომლებშიც PPP-ის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებზე იყო საუბარი, ინდივიდუალურ რეჟიმში იქნა განხილული.

---

<sup>4</sup> Organization for Economic Cooperation and Development, Anti Corruption Network for Eastern Europe and Central Asia, Istanbul Anti-Corruption Action Plan – Third Round of Monitoring (Georgia), 2013, p.102;

### 3. მიზნაპეი

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი მიზნები:

- ამ დრომდე საქართველოში არ არსებობს ხელშესახები მზაობა PPP-ის დანერგვის კუთხით და ამ ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით ხელისუფლებას აქტიური ღონისძიებები არ განუხორციელებია;
- შესწავლილ საჯარო დაწესებულებებს, უმეტეს შემთხვევაში, არასწორად ესმით PPP-ის არსი და მნიშვნელობა და, შესაბამისად, მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც საჯარო დაწესებულებების მოსაზრებით PPP-ის სახით ხორციელდება, არ შეესაბამება აღნიშნული ინსტიტუტის მიზნებს;
- საერთაშორისო პრაქტიკა PPP-ის ეფექტური იმპლემენტაციისათვის სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებასა და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებაზე მიუთითებს.

### 4. საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები


მსოფლიო ბანკის განმარტების თანახმად, *საჯარო-კერძო პარტნიორობა არის შეთანხმება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის, რომლის დროსაც რიგ მომსახურებას, რომელიც სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, კერძო სექტორი ახორციელებს. საჯარო-კერძო პარტნიორობა ეფუძნება ხელშეკრულებას, რომელიც ნათლად განსაზღვრავს სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებით მხარეთა უფლება-მოვალეობებს.*<sup>5</sup> საჯარო-კერძო პარტნიორობა უმეტესწილად გამოიყენება მსხვილმასშტაბიანი პროექტების განსახორციელებლად და ისეთ სფეროებთან მიმართებით, როგორებიც არის ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა და სხვა.

საჯარო-კერძო პარტნიორობის აღნიშნული განმარტების პარალელურად, ერთობ მნიშვნელოვანია, გავეცნოთ საქართვე-

<sup>5</sup> <http://ppp.worldbank.org/public-private-partnership/overview/what-are-public-private-partnerships>;

ლოში არსებულ ხედვას ზემოთ დასახელებული ინსტიტუტის ფუნქციონირებისა თუ, ზოგადად, მისი არსის შესახებ.

კვლევის ფარგლებში, გამოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საჯარო დაწესებულებათა უმეტესობას მსგავსი ხასიათის პროექტები არ განუხორციელებია. შესაბამისად, დიაგრამის სახით გთავაზობთ აღნიშნულ უწყებათა ჩამონათვალს, ხოლო ცალკე გამოყოფთ უწყებებს, რომლებმაც ამასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია მოგვანოდეს.



#### 4.1. საქართველოს მთავრობის კანცელარია

საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებზე ინფორმაციის მოძიების მიზნით, საიამ, გარდა

სამინისტროებისა, საქართველოს მთავრობის კანცელარია-საც მიმართა.<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ სხვა დაწესებულებებისაგან განსხვავებით, მთავრობის კანცელარიამ, საპასუხო კორესპონდენციით, საიასგან მოითხოვა კონკრეტული ინფორმაციის შემცველი განცხადების წარდგენა.<sup>7</sup> საიამ საქართველოს მთავრობის კანცელარიას დამატებითი განცხადებით მიმართა, რომლითაც განმარტა საჯარო-კერძო პარტნიორობის ცნება.<sup>8</sup> აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ მოგვანოდა ინფორმაცია საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული ორი აქტივობის შესახებ:

1. **არასამენარშეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ დაფუძნება.** საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ფონდი დაფუძნდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №1022 განკარგულების მიხედვით. ფონდის დაფუძნების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ფონდის წესდების თანახმად, მისი საქმიანობის მიზანია, საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით, საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგომი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა. ფონდის სტრუქტურის თანახმად, მას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი და სპეციალური კომისია. ფონდის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: გრანტები, ნებაყოფლობითი დონაციების/შემოწირულობების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული

<sup>6</sup> საიას 2014 წლის 30 აპრილის #გ-04/179-14 წერილი;

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 19 მაისის #16464 კორესპონდენცია;

<sup>8</sup> საიას 2014 წლის 01 ივლისის #გ-04/363-14 განცხადება;



ბული სხვა აქტივობებისა, ამ შემთხვევაში ცალსახად ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ფონდის დაფუძნება წარმოადგენს კერძო და საზოგადოებრივი სექტორის თანამშრომლობის (Public-Private Partnership) კონსოლიდირებულ, მოქნილ და გამჭვირვალე მექანიზმს.<sup>9</sup>

2. **საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება.** აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სს „ლიბერთი ბანკი“ 2012 წლის 1 ივლისიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე იღებს ვალდებულებას, უსასყიდლოდ უზრუნველყოს სოციალური გასაცემლების დარიგება, მათ შორის:

- უსასყიდლოდ გასცეს თანხები ბენეფიციარებზე;
- უსასყიდლოდ გაუხსნას ანგარიში და გასცეს პლასტიკური ბარათი;
- უსასყიდლოდ მიუტანოს პენსია პენსიონერს საცხოვრებელ ადგილზე (განსაზღვრულ შემთხვევებში);
- უსასყიდლოდ მოემსახუროს პენსიონერს სხვა საბანკო დანებსებულებაში კუთვნილი პენსიის გადატანა/გადარიცხვის ოპერაციებზე („ვადიანი საგადასახადო დავალება“);

აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის უკვე არსებული სასყიდლიანი საბანკო მომსახურების იდენტიურ ხელშეკრულებას. ახალი ხელშეკრულება, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, გარკვეულ სიახლეებს შეიცავს, მათ შორის, სს „ლიბერთი ბანკი“ კისრულობს სასყიდლიანი საბანკო მომსახურების უსასყიდლოდ განხორციელების ვალდებულებას.

---

<sup>9</sup> „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს სოლიდარობის ფონდის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის განმარტებითი ბარათი;

## 4.2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საჯარო-კერძო პარტნიორობასთან დაკავშირებით საიამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რამდენიმე განცხადებით მიმართა.<sup>10</sup> განცხადებების ნაწილი საჯარო-კერძო პარტნიორობის ეგიდით განხორციელებულ პროექტებს შეეხებოდა, ხოლო ნაწილი სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ინიციატივით ქ.ბათუმში ჩატარებული კონფერენციის შემდგომ აქტივობებს. მოწოდებული მასალის თანახმად: „სამინისტროს ინვესტიციების და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტი არ ფლობს ინფორმაციას 2013 წლის 7-9 დეკემბერს ქ.ქობულეთში გამართული საჯარო-კერძო პარტნიორობისადმი მიძღვნილი კონფერენციის შემდგომ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე, არ ფლობს ინფორმაციას პარტნიორობის განვითარებისათვის დაგეგმილი იურიდიულ/ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავებისათვის დაგეგმილი ქმედებების შესახებ.“<sup>11</sup>

რაც შეეხება საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიუთითა საერთაშორისო საკვები პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების გამოფენის “GULFOOD 2014”-ის ორგანიზატორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რის შედეგადაც, 9 ქართულ კომპანიას საშუალება მიეცა, 2013 წლის 27-29 თებერვალს ქ.დუბაიში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია წარედგინა. გამოფენაზე მონაწილეობის მიზანს წარმოადგენდა ქართული კომპანიებისათვის ახალი სავაჭრო პარტნიორების შეძენა, საქმიანი ურთიერთობების დამყარება და არაბთა გაერთიანებული საემიროების ბაზარზე ექსპორტის გაზრდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში სახელმწიფომ აანაზღაურა საგამოფენო ხარჯების ნაწილი, ხოლო დარჩენილი თანხა, დაახლოებით 40%, მონაწილე კომპანიებმა დაფარეს.<sup>12</sup>

<sup>10</sup> საიას 2014 წლის 05 მარტის #გ-04/80-14, 2014 წლის 30 აპრილის #გ-04/169-14 და 2014 წლის 30 აპრილის #გ-04/188-14 განცხადებები;

<sup>11</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 19 მაისის #08/2955 კორესპონდენცია;

<sup>12</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 10 მარტის #08/1666 კორესპონდენცია;

### **4.3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

მართალია, მსგავსად სხვა დანესებულებებისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ ეტაპზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროექტები არ განუხორციელებია, თუმცა, აღსანიშნავია უწყების მიერ მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა საჯარო-კერძო პარტნიორობის ზოგადი კონცეფციის შემუშავების მიზნით, რაც შემდგომში გამოყენებული იქნება ჯანდაცვის სფეროში განსახორციელებელ კონკრეტულ პროექტებთან მიმართებით. ასევე, მოწოდებულ ინფორმაციაში, აღნიშნულია, რომ ჯანდაცვის სფეროს ორი დანესებულებისთვის საჯარო-კერძო პარტნიორობის საინვესტიციო პირობების შემუშავების მიზნით, ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.<sup>13</sup>

### **4.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული კორესპონდენციის<sup>14</sup> თანახმად, უწყების მიერ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის №113 განკარგულებით დამტკიცდა პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა – „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის.“ პროგრამა მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების სფეროში კერძო სექტორის როლის გაზრდას, რაც ხელს შეუწყობდა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ადეკვატურად მომზადებული კადრებით. პროექტის მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება (შესაძლებელია როგორც უძრავი, ისე – მოძრავი) პირობადადებულ (პროფესიული

<sup>13</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 15 მაისის #01/40018 კორესპონდენცია;

<sup>14</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 27 მაისის #MES 0 14 00322621;

სასწავლებლის მოწყობა) საკუთრებაში უნდა გადას-  
ცემოდა ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ  
პირებს.

ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამით გათვალ-  
ისწინებული ღონისძიებების შესრულების მიზნით, 2008  
წლის 23 მაისს შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური გან-  
ვითარების სამინისტროსა და საქართველოს განათლებ-  
ისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი კომი-  
სია, რომელმაც პროგრამის ფარგლებში ინტერესთა გა-  
მოხატვის საფუძველზე წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის  
მიხედვით, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონე-  
ბა გადასცა რამდენიმე კერძო სამართლის იურიდიულ  
პირს: შპს „პროფ იუნიტს“, „მილერი და კომპანიას“, შპს  
„დემეტრე 96“-ს, შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია  
„შავნაბადას“.

- 2013 წლის 2 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და სააქციო  
საზოგადოება „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით, პრო-  
ფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის  
თემაზე გაიმართა კონფერენცია, რომლის მიზანი იყო  
დამსწრე საზოგადოების პროფესიული განათლების გან-  
ვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის, მისი სამოქმედო  
გეგმისა და კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში  
ჩართულობის თაობაზე რეკომენდაციების გაცნობა.
- 2013 წლის 19 დეკემბერს საქართველოს განათლებ-  
ისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფესიულ  
კოლეჯ „სპექტრის“ ინიციატივით, კერძო სექტორის  
ჩართულობის მიზნით, გაიმართა მეორე კონფერენცია  
თემაზე: „კერძო სექტორის როლი პროფესიულ განათ-  
ლებაში.“ კონფერენციას ესწრებოდნენ საგანმანათლებ-  
ლო დაწესებულების, საერთაშორისო და ადგილობრივი  
ორგანიზაციების და 50-მდე მსხვილი ბიზნესის წარმო-  
მადგენლები, სოციალური პარტნიორები და სხვადასხ-  
ვა დარგობრივი ასოციაციის წარმომადგენლები. ღონ-  
ისძიების მხარდამჭერები იყვნენ: გერმანიის საერთაშო-  
რისო განვითარების საზოგადოება (GIZ) და პარტნიორი  
კომპანიები: კნაუფი, კაპაროლი და ჰეიდელბერგცემენ-  
ტი;

- 2013 წლის 29 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, „ლიბერთი ბანკსა“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ 12 საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს კომპანიის ჩართულობას საკვალიფიკაციო ჩარჩოს, პროფესიული სტანდარტების გადახედვის პროცესში და პროფესიული განათლების განვითარების მიზნით დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის ფარგლებში 2013 წლის 13 სექტემბერს სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით გაიმართა ფესტივალი – „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“. მიმდინარე წლის 8 აპრილს კი, მეორედ გაიმართა პროფესიული განათლების ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო პროფესიული პროგრამების განმახორციელებელმა 33-მდე დაწესებულებამ, რომელთა შორის იყვნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სასწავლებლები.
- 2014 წლის 14 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე, რომელსაც 20-მდე მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი ესწრებოდა, განიხილეს საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის ალტერნატიული მოდელი. მოწვეულ სტუმრებს დაურიგდათ სპეციალური კითხვარი, რომლის მეშვეობით შეეძლოთ დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება მათთვის მისაღები თანამშრომლობის ფორმის შესახებ.
- 2014 წლის 17 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააფორმეს ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი „რობერტ ბოშთან“, „ჯინო ფერედაისთან“ და „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“. მემორანდუმი მიზნად ისახავდა საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელოსნოების

აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით, პროფესიული სტუდენტების სტაჟირებას საწარმოო ბაზებზე, საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტის გადახედვის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობას და ა.შ.

გარდა აღნიშნული ინფორმაციისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ასევე მოგვანოდა სხვადასხვა დანესებულებასა და სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ასლები.

#### **4.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო**

საიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით ჯერ კიდევ 2014 წლის 30 აპრილს მიმართა,<sup>15</sup> თუმცა კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის მიუხედავად, საიას განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია. სასურველი ინფორმაციის მოძიება მხოლოდ სასამართლოში სასარჩელო წარმოების დაწყების შემდგომ, 2015 წლის 4 და 18 თებერვლის კორესპონდენციების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.<sup>16</sup>

მონოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს მიერ საჯარო-კერძო პარტნიორობის ეგიდით განხორციელებული პროექტების ფარგლებში მოექცა არაერთი ხელშეკრულება, ურთიერთგაგებისა თუ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მსგავსი ხასიათის შეთანხმებების საკმაოდ დიდი ოდენობიდან გამომდინარე, შეუძლებელია თითოეული მათგანის კვლევის ფარგლებში განხილვა, თუმცა არსებობს გარკვეული ასპექტები, რომლებზეც გვსურს ყურადღების გამახვილება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონოდებული ხელშეკრულებების, ურთიერთგაგებისა თუ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ნაწილი გაფორმებულია საქართველოს და უცხო ქვეყნის საჯარო დანესებულებებთან, ხოლო ნაწილი – კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

საქართველოს საჯარო დანესებულებებთან გაფორმებულ მემ-

<sup>15</sup> საიას 2014 წლის 30 აპრილის #გ-04/176-14 განცხადება;

<sup>16</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 04 თებერვლის #250620 და ამავე წლის 18 თებერვლის #362403 კორესპონდენცია;

ორანდუმებს შორის აღსანიშნავია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, მთავარ პროკურატურას, ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის მიზანია სამართალდამცავ სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლება. აქვე აღსანიშნავია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა<sup>17</sup> და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან<sup>18</sup> გაფორმებული შეთანხმებები, რომელთა უმთავრეს მიზანს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება, საარქივო საქმის განვითარება, არქივების გახსნილობის უზრუნველყოფა, არქივების მოდერნიზება/დიჯიტალიზაცია და საარქივო მასალებზე დაყრდნობით კვლევების წარმოება წარმოადგენდა.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის საჯარო/კერძო დაწესებულებებთან<sup>19</sup> გაფორმებულ მემორანდუმებს, აღნიშნული მიმართულებით ძირითადად გამოიკვეთა სამართალდამცავთა განათლების სფეროში თანამშრომლობის, ტრენინგების, გაცვლითი პროგრამებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზების, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით თანამშრომლობის მაგალითები.

---

<sup>17</sup> საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო მმართველობის სკოლა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი და სხვა;

<sup>18</sup> ფონდი კავკასიური დიალოგი, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, ააიპ საბჭოთა წარსულის კვლევის აკადემია, ააიპ ანფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი და სხვა;

<sup>19</sup> სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის საგანმანათლებლო კომპლექსი, ჩერქეზული (ადიღეული) კულტურის ცენტრი, ჯორჯიის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრი, ამერიკის შეერთებული შტატების გენოციდის მემორიალური მუზეუმი, ჰუვერის უნივერსიტეტი, დანილოვგრადის პოლიციის აკადემია, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური შინაგან საქმეთა II/5 განყოფილება, უსაფრთხოების დაცვის აკადემია, თურქეთის ეროვნული პოლიციის აკადემია და სხვა;

## 5. დასკვნა

კვლევის წარმოდგენილ ნაწილში ასახული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება გახდა შესაძლებელი:

- სამინისტროების უმრავლესობას საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროექტები არ განუხორციელებია, ხოლო ნაწილის მიერ განხორციელებული აქტივობები ცალსახად არ შეესაბამება საჯარო-კერძო პარტნიორობის ცნებასა და ფორმებს;
- უმეტესწილად, უწყებებს საჯარო-კერძო პარტნიორობა პირდაპირი მნიშვნელობით ესმით და მასთან აიგივებენ ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო სექტორს შორის არსებულ ნებისმიერი სახის ურთიერთობას, მიუხედავად მისი შინაარსისა;
- რიგი უწყებების შემთხვევაში დაფიქსირდა ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საჯარო-კერძო პარტნიორობად მოაზრების ფაქტებიც, რაც, ცალსახად, აღნიშნული ინსტიტუტის თაობაზე საჯარო სექტორში არსებულ მცდარ წარმოდგენებზე მიუთითებს.

ამასთან, თუკი დღის წესრიგში აქტიურად დადგება სხვადასხვა პროექტის საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელების მიზანშეწონილობა, საჭიროა, სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და განისაზღვროს უწყება, რომლის კომპეტენციაშიც იქნება მსგავსი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შემდგომი განვითარება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის, როგორც ინსტიტუტის, საქართველოში დანერგვის შემთხვევაში, მხედველობაში იყოს მიღებული უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილება, რაც თავისთავად მოიცავს ინსტიტუტის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.